ნელინადს აგვირგვინებს დამკვრელური შრომის ნაყოფი

ვადამდე, გადაჭარბებით

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ტრიკოტაჟის სპორტნაწარმის ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე, 13 დეკემბრისთვის შეასრულა წლიური გეგმა. ხუთმა ბრიგადამ, რომელიც ერთიანი იჯარით მუშაობს, წლიური დავალება უკვე 15 ოქტომბრისთვის გაანაღდა. აღსანიშნავია, რომ საწარმოს მოწინავე მშრომელებმა (ასეთთა რაოდენობა კი 20-ზე მეტია), სამი წლის გეგმა 1 ნოემბრისთვის შეასრულეს და ახლა 1984 წლის ანგარიშში მუშაობენ. ნახელავს უქებენ მოწინავეთა შორის მოწინავეებს: გამომჭრელ ვ. არუთინოვას, მკერავებს თ. კუზნეცოვას, მ. მუჩიაშვილს და სხვებს. წლეულს ფაბრიკაში აითვისეს 4 ახალი ნაწარმის გამოშვება—პერანგები ველოსიპედისტებისთვის, ბავშვთა სპორტული შარვლები, სვიტერები. ნაწარმის 17,9% ხარისხის ნიშანს ატარებს.

ტრიკოტაჟის სპორტნაწარმის ფაბრიკის 450-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებებსაც აღწევს — II კვარტალში „დინამოს" საწარმოთა შორის მათ I ადგილი მოიპოვეს და გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

თითქმის მთელი 1983 წელიწადი ფაბრიკა რეკლამაციების გარეშე მუშაობს, გაუმჯობესდა ხარისხი. სულ მალე ფაბრიკის მშრომელები ახალმოსახლეობას იზეიმებენ — ახალი წლის პირველი კვარტლიდან ისინი ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გადავლენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 244
(7555)
22
1983 წ.
დეკემბერი.
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

●

მთელი კოლექტივის ხელშეწყობით

სოხუმის № 160 კულინარულ-სავაჭრო სასწავლებლის (დირექტორი ე. ჭელიძე) 417 მოსწავლიდან 410 ფიზკულტურელია, მათგან სამასამდე — თანრიგოსანი. რა თქმა უნდა, მთელი პედაგოგიური კოლექტივის დაუხმარებლად ამის მიღწევა გაუჭირდებოდა ფიზაღზრდის ხელმძღვანელს, კომუნისტ გ. კუტალიას. ფეხბურთელებს ავარჯიშებს გ. ჯალაღანია, მძლეოსნებს — გ. ვანაშა, მაგიდის ჩოგბურთელებს — დ. სავულიდი, ჯანმრთელობის ჯგუფს კი თვით კუტალია ხელმძღვანელობს. 13 სპორტულ სექციას უძღვებიან საწარმოო სწავლების ოსტატები ა. ცკუა, ე. დიატლოვა, ვ. ლუშიკი, ი. მელიქ-კაზარიანი, ე. ტურაევი და სხვები.



სურათებზე: გ. კუტალია ფიზკულტურის გაკვეთილზე; სასწავლებლის რბენის მოყვარულთა კლუბის წევრები კროსის დისტანციაზე.

ვ. ბუკინის ტექსტი და ფოტოები.

სათაფლიის ბილიკებით

მზიანი კვირადღე იდგა ქუთაისში. ტურიზმის მოყვარულებს, მასობრივი ტურიზმის სადღესასწაულოდ მოწყობის ორგანიზატორებს — კომკავშირის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტებს, ტურისტულ კლუბ „ოქროს ჩარდახს" საინტერესო ღონისძიებაც სწორედ ამ დღისთვის ჰქონდათ დაგეგმილი.

სათაფლიის მწვანე ბილიკები უხმობდა მის მისადგომებთან თავშეყრილ 5000-ზე მეტ ტურისტს.

შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივი ქვეითი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით — ქუთაისი-სათაფლია-ქუთაისი 34-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციას მიეძღვნა. ლაშქრობის მონაწილე საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებს, სტუდენტებს, საშუალო-სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებს ფეხით უნდა გაევლოთ 20 კილომეტრი.

ლაშქრობის მონაწილეთა უმეტესობამ ჩააბარა მშთ ნორმატივები. მასობრიობით თავი გამოიჩინეს სპორტსაზოგადოებების „განთიადისა" და „სპარტაკის" წარმომადგენლებმა.

იმავე დღეს სათაფლიის ნაკრძალში გაიმართა საქალაქო შეკრება-შეჯიბრება ტურისტულ ესტაფეტაში. შეჯიბრებაში ჩაება 29 კოლექტივი. ასპარეზობის პროგრამაში იყო ზურგჩანთის გაწყობა, ტურისტული კროსი, „თაგვსაჭერში" გაძრომა, ხევზე ბაგირით გადასვლა, ჭაობის გადალახვა ქანქარით, კარვის გაშლა. შეჯიბრების მონაწილენი გამოჩენილი მხარეთმცოდნის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის პეტრე ჭაბუკიანის სახელობის გარდამავალი თასის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

ასპარეზობა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით I ადგილი და თასი მიეკუთვნა სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის (დირექტორი რ. სვანიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი დ. განუგრავა) ტურისტთა გუნდს (მწვრთნელი რ. კაჭკაჭიშვილი), II ადგილზე გამოვიდა რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის (დირექტორი შ. სანიკიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი და მწვრთნელი ვ. მინდაძე) კოლექტივი, III — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი გ. გოგლიჩიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. ხურციძე, მწვრთნელი ს. კიშიბაძე) ტურისტები. ეს გუნდები, აგრეთვე IV-V ადგილებზე გამოსული კოლექტივები კომკავშირის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტების სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სპეციალური პრიზი საუკეთესო ტურისტული ბანაკის მოწყობისათვის გადაეცა პოლიტექნიკური ტექნიკუმის ტურისტთა გუნდს.

შეჯიბრებაზე კარგად მომზადებული გუნდები გამოვიდნენ ელექტრომექანიკური ქარხნიდან, კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებიდან და ავეჯის კომბინატიდან. შეკრება-შეჯიბრებაზე მხოლოდ განცხადების წარმოდგენით დაკმაყოფილდნენ მუსიკალური სასწავლებლის, საკონსერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკისა და პურკომბინატის კოლექტივები.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში შეჯიბრებებზე სუსტად გამოდიან კოოპერაციული ტექნიკუმის, ბამბეულის კომბინატისა და პროფტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლები.

შ. ნიჟარაძე.

• • •

სურათებზე: მოლაშქრენი სათაფლიის მიდამოებში.

გ. ლიპარტელიანის ფოტოები.

● შაში

პრობლემათა წინაშე

ამას წინათ ხარკოვში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება 100 და 64-უჯრიან შაშში. ამ შეჯიბრების დებიუტანტმა, საქართველოს გუნდმა ბოლო, მეათე ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგა დატოვა.

გულახდილად ვთქვათ, ჩვენს გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენის არავითარი შანსი არ ჰქონდა — ოდნავ მეტი ქულის მოგროვება თუ შეეძლო, მეტი არაფერი. თამაშის კლასით ჩვენი მოშაშეები აშკარად ჩამორჩებიან თავიანთ კოლეგებს. დაკავებული ადგილი შეესაბამება როგორც გუნდის ძალას, ისე შაშის განვითარების დონეს საქართველოში. ამ შეხედულებას თავისი საფუძველი აქვს. მოშაშე, იმისათვის, რომ მაღალი კლასის გაიზარდოს, საჭიროა ბავშვობიდან ეზიაროს თამაშს. მაშასადამე, აუცილებელია მწვრთნელი და სახელმძღვანელო. ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობა გვაქვს.

ბავშვთა სპორტულ სკოლებში, თბილისშიც კი, არ არის შაშის მწვრთნელის შტატი, თუმცა რესპუბლიკურ ფედერაციას შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს არაერთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელს. მწვრთნელი არც უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკურ სკოლაში ჰყავთ. ეს რა გასაკვირია, როცა ჭადრაკის სასახლეში შაშის ინსტრუქტორის საშტატო ერთეული ისევ მოჭადრაკეს უკავია! ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

მაშ, სად და ვისთან განაგრძონ მეცადინეობა თავიანთი ოსტატობის სრულყოფისათვის საქართველოს ნაკრების წევრებმა, რიგით მოშაშეებზე რომ არაფერი ვთქვათ?

განა შეიძლება შაში უწიგნოდ ისწავლო? არადა ქართულად შაშის ელემენტარული სახელმძღვანელო დღემდე არ გაგვაჩნია. ნუთუ არ შეიძლება ითარგმნოს მაინც ცნობილი მოშაშეების წიგნები, რომლებიც რუსულად ყოველწლიურად გამოდის. შაშის თეორიის საკითხებზეც არაფერი იწერება. ეს ალბათ არც უნდა გვაოცებდეს, რადგან დღემდე არა გვაქვს ქართულ ენაზე უპირველესი წიგნი — „სსრ კავშირის შაშის კოდექსი", რომლის გარეშე შეუძლებელია ჩემპიონატებისა და შეჯიბრებების ჩატარება. არც მეთოდური ლიტერატურა გაგვაჩნია.

ალბათ ამიტომაც არ არის შაშის შემსწავლელი წრეები რაიონების პიონერთა სახლებში. თბილისში მხოლოდ ოქტომბრის რაიონში საქმიანობს ერთი ჯგუფი. რა თქმა უნდა, დედაქალაქისთვის ეს წვეთია ზღვაში.

სამწუხაროდ, შაშის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპორტსაზოგადოებები, არ იმართება პირველობები, რეგულარულად არ იგზავნება მოშაშეები საკავშირო შეჯიბრებებზე, სადაც დაოსტატება შეუძლიათ.

სსრ კავშირის შაშის ფედერაციამ უკვე დასვა საკითხი სპორტის ამ სახეობის შეტანის თაობაზე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში. სხვა რესპუბლიკები მზად არიან ამ დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, რაც ჩვენზე არ ითქმის. ამიტომ დროა რადიკალური ზომები მივიღოთ საქართველოში შაშის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის.

ს. თომაშვილი,
საქართველოს შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის შაშის ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.

„ისმინე, სწავლის მძებნელო!"

ჭადრაკის თანამედროვე თეორია ღრმად სწვდება ამ ბრძნული თამაშის საიდუმლოებას. მისი ცოდნა ხელს უწყობს მოჭადრაკის თამაშის დონის ამაღლებას. ამიტომაა არაპროფესიონალიც რომ მიისწრაფვის ეზიაროს დაგროვილ გამოცდილებას, შეისწავლოს თამაშის უმთავრესი პრინციპები. ბევრმა უკვე მიაშურა ჭადრაკის კულტურის საქართველოს სახალხო უნივერსიტეტს, სადაც თეორიის აქტუალურ საკითხებზე პოპულარულად საუბრობენ გამოცდილი მოჭადრაკეები.

24 დეკემბერს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში საინტერესო ლექციებს წაიკითხავენ მსოფლიო ჩემპიონი **მ. ჩიბურდანიძე** და მისი მწვრთნელი, დიდოსტატი **ე. გუფელდი** (დასაწყისი 16 ს.). ჩიბურდანიძე ისაუბრებს იერიშის წარმართვაზე სხვადასხვა მხარეს როქის დროს, აჩვენებს მაგალითებს, გუფელდი კი დამსწრეთ გააცნობს სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტს, რომლის დიდ სპეციალისტად თვითონ არის აღიარებული. ამ საკითხზე წიგნიც აქვს გამოცემული.

დასასრულს ერთდროული თამაშის სეანსი გაიმართება.

ჭ. გომელაური.

სპორტსმენის ტრიბუნა

ეს უნდა იცოდეს მწვრთნელმა

სპორტსმენის მომზადების საქმეში მთავარ და გადამწყვეტ როლს მწვრთნელი ასრულებს. მან უნდა შეარჩიოს და აღზარდოს სპორტსმენი, გახადოს იგი მაღალკვალიფიციური და მიღწევოსანი და ბოლოს, შეუნარჩუნოს მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში შრომისუნარიანობა. ამ მეტად რთული და შრომატევადი საქმის განხორციელება მწვრთნელის კარგ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას მოითხოვს. აღმზრდელი კარგად უნდა ერკვეოდეს სპორტული მედიცინის საკითხებში. ამ საგნის სწავლება კი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებსა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე უნდა იდგეს.

სპორტული სეზონის დაწყების წინ სპორტსმენის სავალდებულო დისპანსერიზაცია· რომ აუცილებელია, ეს ყველა მწვრთნელმა კარგად იცის. სამწუხაროდ, უმრავლესობა იმითაც კმაყოფილდება, თუ მისი სპორტსმენები როგორმე გაივლიან საექიმო შემოწმებას და მიიღებენ ექიმის დასტურს იმის შესახებ, რომ შეუძლიათ შეუდგნენ წვრთნას, რაც მიუტევებელ ფორმალობად მიგვაჩნია. თანამედროვე მწვრთნელი ისე უნდა ერკვეოდეს მედიცინის დარგში, რომ შეეძლოს ექიმთან ერთად თითოეული სპორტსმენის საექიმო შემოწმების მონაცემების გარჩევა.

სამწუხაროდ, მწვრთნელთა უდიდესმა ნაწილმა არ იცის, რომ ადამიანის, კერძოდ სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობას სამი ფაქტორი განაპირობებს. პირველი, ორგანიზმის ჯანმრთელობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ დროს ყველა ორგანო ნორმალურად ფუნქციონირებს და ორგანული ხასიათის დარღვევები არ აღინიშნება, მეორე: ორგანიზმის ფიზიკური განვითარება ადამიანის მორფოლოგიური სტატუსის ამსახველია და იგი ძირითადად ძვალოვანი და კუნთოვანი სისტემის განვითარებაზე მიუთითებს. მესამე: ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობას ასახავს მისი ფუნქციური ქმედითუნარიანობა, რასაც კუნთური მუშაობის მიმართ კარგი ადაპტაციის (შეგუების) უნარი ავლენს. ფუნქციური მდგომარეობის მიხედვით კი შეიძლება შეფასდეს სპორტსმენის ფიზიკური შრომისუნარიანობა.

თუ მწვრთნელი კარგად იქნება გარკვეული სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის ამ სამ ძირითად ფაქტორში, მაშინ იგი ექიმთან ერთად ადვილად გადაწყვეტს სპორტსმენის წვრთნასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საქმე იმაშია, რომ სპორტსმენი პრაქტიკულად შეიძლება ჯანმრთელი იყოს, მაგრამ ფიზიკურად არ იყოს კარგად განვითარებული, ან კიდევ დაქვეითებული ჰქონდეს ფუნქციური მდგომარეობა. შესაძლებელია ფიზიკურად კარგად იყოს განვითარებული, მაგრამ ფუნქციურად განიცდიდეს ჩამორჩენას ან პირიქით და ა. შ. სპორტსმენის ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადებისათვის. აღნიშნულის განხორციელება კი ბევრადაა დამოკიდებული მისი ორგანიზმის ფიზიკური სტატუსის მონაცემებზე, რომლის კორექცია რაციონალური წვრთნით, ჰიგიენური რეჟიმითა და, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ღონისძიებების (მკურნალობა, რეაბილიტაცია და სხვა) გატარებით შეიძლება მივაღწიოთ.

არც თუ იშვიათად მწვრთნელსა და ექიმს შორის იმართება კამათი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საექიმო (კლინიკო-ფიზიოლოგიური) გამოკვლევების მონაცემების მიხედვით სპორტსმენის წვრთნის საკითხი გადაწყდეს. პასუხი ერთია. საექიმო კაბინეტში (ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საბოლოო დიაგნოზის გამოტანა. ფუნქციური გამოკვლევებით შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სპორტსმენის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა — მისი ფიზიკური შრომისუნარიანობა და ორგანიზმის რეაქცია ანუ ადაპტაციის უნარი დოზირებული ფიზიკური დატვირთვის მიმართ. ფუნქციური გამოკვლევა დაგვეხმარება აგრეთვე კუნთური მუშაობის ამოცანების ანუ ტოლერანტობის საკითხების გადაწყვეტისას.

გამოკვლევების საფუძველზე ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სპორტსმენს შეიძლება ჰქონდეს ორგანიზმის კარგი, დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი ფუნქციური მდგომარეობა, რაც, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სპორტსმენი გაწვრთნილია კარგად, დამაკმაყოფილებლად ან არადამაკმაყოფილებლად.

გაწვრთნილობის საკითხის გადაწყვეტა სპორტსმენის ფუნქციური მდგომარეობის შეფასებაზე ბევრად რთულია. მისი დადგენა მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევის დახმარებით შეიძლება. აქედან გამომდინარე, დისპანსერიზაციის გავლის შემდეგ მწვრთნელმა ექიმისაგან უნდა მიიღოს პასუხი იმის შესახებ, თუ როგორია სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური განვითარება და ფუნქციური მომზადება, მაგრამ ვიმეორებ, იმისათვის, რომ გაერკვეს საექიმო შემოწმების პასუხში, მწვრთნელს უნდა ჰქონდეს სათანადო სამედიცინო განათლება.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საწვრთნო და საშეჯიბრო სეზონში სპორტსმენთა დამატებით (პერიოდულ, ეტაპურ) ფუნქციურ გამოკვლევებს. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ მწვრთნელთა უმრავლესობა ამ საკითხს თავის მუშაობაში უმნიშვნელო ყურადღებას უთმობს, რაც დიდი შეცდომაა. უნდა გვახსოვდეს, რომ გაწვრთნილიდან გადაწვრთნამდე (გადაღლამდე) სულ ერთი ნაბიჯია. სპორტსმენი შეიძლება გადაიწვრთნას სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში და ამით დაჰკარგოს სპორტული ფორმა. რასაც, როგორც ცნობილია, ყოველთვის არასასიამოვნო შედეგი მოჰყვება. ეტაპური ფუნქციური გამოკვლევების საშუალებით თავიდან ავიცდენთ სპორტსმენის ამ მეტად არასასიამოვნო მდგომარეობას — გადაწვრთნას. სპორტული მედიცინის მუშაკთა ერთ-ერთ მსოფლიო კონგრესზე ბრაზილიის ფეხბურთის ნაკრები გუნდის ექიმთან კერძო საუბარში შევიტყე, რომ მათი ფეხბურთელები საპასუხისმგებლო თამაშებისათვის მომზადების პერიოდში კვირაში ერთხელ გადიან საექიმო (ფუნქციურ) გამოკვლევას. იმ შემთხვევაში თუ მწვრთნელმა ზედმეტად დატვირთა ფეხბურთელები და ამის გამო მათ აღმოაჩნდათ გადაძაბვის (გადაწვრთნის) ნიშნები, მაშინ გუნდის ადმინისტრაცია ამ ფეხბურთელებს გარკვეული პროცენტით მეტ ხელფასს აძლევს, ხოლო თუ ფეხბურთელი თვითონ დაარღვევს რეჟიმს, ასეთ შემთხვევაში მასვე ექვითება თანხა ხელფასიდან. ეს ჰქმნის იმის პირობას, რომ მწვრთნელმაც და სპორტსმენმაც არ დაარღვიონ მომზადების პროცესი, რაც საერთო ჯამში მაღალ სპორტულ შედეგს იძლევა.

სპორტსმენთა ეტაპურ (პერიოდულ) საექიმო შემოწმებებს, რაც სპორტული სეზონის განმავლობაში ზოგჯერ 3-6-ჯერ შეიძლება ჩატარდეს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მწვრთნელმა იგი თავის მუშაობაში ყოველთვის უნდა გამოიყენოს.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უშუალოდ წვრთნის დროს მწვრთნელისა და ექიმის იმ ერთობლივ საქმიანობას, რაც საექიმო-პედაგოგიური მეთვალყურეობის (კონტროლის) სახელწოდებით არის ცნობილი. მარტო ის ფაქტი, რომ სპორტსმენის გულის ცემის სიხშირე (პულსის გახშირებით) წუთში 160-180 უნდა იყოს, მოწმობს იმაზე, რომ მწვრთნელმა და ექიმმა აღნიშნული რეაქცია პერიოდულად უნდა შეამოწმონ, ვინაიდან სხვა შემთხვევაში გულის კუნთი შეიძლება არ გავარჯიშდეს. თუ წვრთნა სპორტის უმრავლეს სახეობაში ძირითადად იძლევა პულსის გახშირებას (წუთში 120-130-ს), იგი სპორტსმენის დაბალ ფიზიკურ მომზადებაზე მიუთითებს, პულსის სიხშირემ (წუთში 200-230 და მეტი) კი შესაძლებელია სპორტსმენის გულის კუნთის გადაძაბვა გამოიწვიოს. საექიმო-პედაგოგიურ კონტროლს ბევრი საინტერესო ინფორმაციის მოცემა შეუძლია, ამიტომ იგი სპორტის სახეობის მიხედვით შესაბამისი გეგმით უნდა ხორციელდებოდეს.

დაუშვებელია მწვრთნელის გულგრილობა რეაბილიტაციური ღონისძიებების მიმართ. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩვენში ბევრი სპორტსმენი უცოდინარობის გამო არ მიმართავს წვრთნისა და განსაკუთრებით შეჯიბრების შემდეგ საჭირო რეაბილიტაციას. ამის გამო სპორტული სეზონის განმავლობაში იგი ველარ ახერხებს ინტენსიური ხასიათის ფიზიკური დატვირთვებისადმი შეგუებას.

მწვრთნელი კარგად უნდა ერკვეოდეს მიკროტრავმების საკითხშიც. რატომღაც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სპორტსმენთა მიკროტრავმებს. არ აცდიან ექიმს ამ ტრავმების მკურნალობას. თანამედროვე სპორტში წარმოუდგენელია სპორტსმენი მიკროტრავმების გარეშე. მათი მკურნალობითა და პროფილაქტიკით ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებული ექიმები, მწვრთნელები და თვით სპორტსმენებიც.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მწვრთნელი ვალდებულია გაიღრმავოს თავისი ცოდნა სპორტულ მედიცინაში, დაინტერესდეს ამ დარგით და მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს ექიმთან მჭიდრო კავშირში, რომლის გარეშე შეუძლებელია სპორტსმენისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში სპორტული ფორმის შენარჩუნება.

რ. სვანიშვილი,
თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე.

ჩვენი მეგობრების გამოცდილება

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

რბენა მთელი წლის მანძილზე

ბამის რბენის მოყვარულთა კლუბების წევრებმა „კროსოვკები“ თხილამურებით შეცვალეს და ვარჯიშს ფიზკულტურაში აგრძელებენ. გვირაბმშენებელთა გაერთიანება „ბაგულნიკის“ მაგალითმა (გასულ ზაფხულში მოსკოვის მშვიდობის საერთაშორისო მარათონზე III ადგილი დაიკავეს), ენთუზიასტებს ძალა შემატა. გაიხსნა ახალი კლუბები ნიჟნეანგარსკში, სევერობაიკალსკში, კიჩერში.

მუდმივად იკაჟებენ ჯანმრთელობას 54 წლის გვირაბმშენებელი გ. სელეზნიოვი და 5 წლის ს. ლაზარევი. მართალია ზეშორ გარბენებში მონაწილეობა არ მიგვიღია, მაგრამ რომ იცოდეთ რა სასიამოვნოა სუფთა ჰაერზე ტყეში სირბილი... ამბობს ვ. სელეზნოვი.

ტონელნი.
ბურიატის ასსრ

საჭადრაკო კლუბის იუბილე

ლენინგრადის მ. ი. ჩიგორინის საჭადრაკო კლუბი ამ დღეებში ნახევარსაუკუნოვან იუბილეს იზეიმებს.

კლუბის ფუძემდებლები არიან სსრ კავშირის მაშინდელი ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და ცნობილი საჭადრაკო მწვრთნელი ი. როხლინი.

კლუბის ვრცელ დარბაზებში ჭადრაკს, მის თეორიასა და პრაქტიკას სწავლობდნენ და პირველ შეჯიბრებებს მართავდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული ოსტატები.

მათ შორის იყვნენ ვ. ალატორცევი, ვ. რაგოზინი, ა. ტოლუში, რომლებიც შემდგომში დიდოსტატები გახდნენ, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ლ. რუდენკო, საჭადრაკო კომპოზიტორები ა. ტროიცკი, ლ. კუბელი, ვ. კოროლკოვი...

სწორედ ეს კლუბი გახდა საბჭოთა მოჭადრაკეების მონაწილეობით ჩატარებული პირველი საერთაშორისო მატჩის ორგანიზატორი. მაშინ 22 წლის ბოტვინიკი შეხვდა ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ს. ფლორს — მსოფლიო ჩემპიონ ა. ალიოხინთან შეხვედრის ერთ-ერთ პრეტენდენტს.

კლუბში სეანსებით და ლექციებით გამოდიოდნენ ცნობილი ე. ლასკერი და ხ. რ. კაპაბლანკა, რომლებიც საბჭოთა კავშირში 1935 და 1936 წლებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებზე ჩამოვიდნენ.

ჩვენი ქვეყნის პირველი საჭადრაკო კლუბი დღესაც მონდომებით იღვწის ჭადრაკის განვითარებისათვის.

ლენინგრადი.

ღია ზღვაში

სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის“ მიერ დაწესებული „მშთ სპარტაკიადის თასი“ ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს სამგზავრო ლაინერ „ყაზახეთის“ მეზღვაურებმა. კომუნისტური შრომის ეკიპაჟისათვის შრომისა და თავდაცვისთვის მზადყოფნა სოციალისტურ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი პუნქტია.

ხომალდზე დილა ფიზვარჯიშით იწყება. გემბანზე გამოდიან არა მარტო ეკიპაჟის წევრები, არამედ მგზავრებიც. ყოველი რეისი სტუმრებისა და ეკიპაჟის ნაკრები გუნდების მეგობრული ტურნირით მთავრდება. მეზღვაურებმა თვითონ მოაწყვეს შესანიშნავი სპორტული კომპლექსი (სათამაშო მოედნები, აუზი, ტრენაჟერები და სპორტული იარაღები, ძალოსნობისა და კრივის დარბაზი).

ფრენბურთის, ცურვის, სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის სექციებში ვარჯიშებს ატარებენ მეზღვაურთა საერთაშორისო სპორტული კვირეულის პრიზიორები: მოტორისტი მ. ალექსანდრუკი, მეზღვაური ს. ვოლინეცი, ბორტგამცილებლები ნ. ალარინა და ვ. დენისენკო. დიდ ინტერესს იწვევს ხომალდის მეზღვაურთა სპარტაკიადა. სპორტის 10 სახეობაში გამარჯვებულებს აჯილდოებენ სიგელებით, სამახსოვრო საჩუქრებით. სპორტულ ზეიმში მონაწილეობს ყველა წევრი, ვინაიდან ყველა მშთ ნიშნოსანია. აქ ჰყავთ თანრიგოსნები, საზოგადოებრივი მწვრთნელები და მსაჯები.

ოდესა.

მეფოლადეები სტადიონზე

ლიეპაიელი მეფოლადეები, რომლებმაც წლეულს თავისი ქარხნის „სარკანაის მეტალურგსის“ („წითელი მეტალურგი“) 100 წლის თავი იზეიმეს, ცვლის დამთავრების შემდეგ სპორტის ახალი სახლისკენ მიემართებიან. აქ სპორტული თამაშების დიდი დარბაზის გარდა მოწყობილია ადგილი სამბოსა და ძიუდოში, მაგიდის ჩოგბურთში სავარჯიშოდ. მუშაობს საჭადრაკო კლუბი. რბენის მოყვარულთა ჯანმრთელობის ტრასებიც აქედან იწყება.

დასასრულს უახლოვდება საქარხნო სპარტაკიადა სპორტის 14 სახეობაში, — თქვა ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა მაგიდის ჩოგბურთში ჩესლავ კუკტისმა. — საამქროს კოლექტივები სპარტაკიადის დროს ერთმანეთს 10-ჯერ მაინც ხვდებიან. სპარტაკიადაში მასობრივი მონაწილეობისთვის კოლექტივს იმდენივე ქულა ეწერება, რასაც გამარჯვებისთვის იღებს. ამიტომ, ისეთი საამქროები, როგორიცაა სარემონტო-მექანიკური და სამსხმელო, სტარტზე თითქოს მთელი შემადგენლობით გამოდიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანა „სარკანაის მეტალურგსის“ გუნდები სპორტის უმრავლეს სახეობაში საქალაქო სპარტაკიადებისა და პირველობების უცვლელი გამარჯვებულები არიან, კალათბურთელები და ფეხბურთელები რესპუბლიკის ჩემპიონატებშიც გამოდიან. მეფოლადეთა ბავშვები ქარხნის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში სწავლობენ.

ლიეპაია,
ლატვიის სსრ.

●



დონის როსტოვში ზამთრის წრთობის მოყვარულთა შორის არიან მუშები, სტუდენტები, ინჟინრები, ექიმები, პენსიონერები.

ს უ რ ა თ ზ ე: როსტოველი „მორჟები.“

საკდესის ფოტო.

დაჯილდოება

საქართველოს სპორტკომიტეტმა რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 70 წლისთან დაკავშირებით სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. მ. იოსელიანი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ადგილებიდან გვატყობინებენ

თერჯოლა

ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ გათამაშებაში „სიჭაბუკის თასზე“ VII ზონაში მონაწილეობდნენ ზესტაფონის, ამბროლაურის, ტყიბულის, ცაგერის, ონისა და თერჯოლის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები.

თერჯოლის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა (მწვრთნელები ე. არეშიძე, თ. კოხრეიძე) დიდი მონდომებით, აღმავლობით ითამაშეს, 16 ქულა დააგროვეს და I ადგილი დაიკავეს ზონაში.

ვ. კუტალაძე,
(„ლელოს“ კორ.).

ჩოხატაური

სამ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩოხატაურის რაიონის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც 2 ქვეჯგუფად განაწილებული 12 გუნდი მონაწილეობდა.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და საფინანსო განყოფილების გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ავტოტრანსპორტელთა კოლექტივმა — 1:0 (მწვრთნელი გ. ყარაჯაშვილი).

დ. ბურჯანიძე.
(„ლელოს“ კორ.).

ტანვარჯიში

უძლიერესთა გარეშე

ჩვენი ქალაქის ტანვარჯიშის ახალ კომპლექსში ოთხ დღეს მიმდინარეობდა სპორტულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური თასის გათამაშება და ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე.

სარბიელზე გამოვიდნენ სპორტული საზოგადოებების „დინამოს", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივის", „ბურევესტნიკის", „ტრუდის", „ზენიტის", არმიის სპორტული კლუბისა და განათლების სამმართველოს ტანმოვარჯიშეები — სულ 62 სპორტსმენი.

ასპარეზობა სამ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ტრავმების გამო შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ჩვენმა უძლიერესმა ტანმოვარჯიშეებმა, საქართველოს ნაკრების წევრებმა ე. ზეთურიძემ, ა. ბაბასიანმა, ე. გერმანოზიშვილმა და ი. სირაძემ, რამაც, ცხადია, გარკვეული დაღი დაასვა ასპარეზობას.

მრავალჭიდში გოგონათა შორის საუკეთესოდ იასპარეზა ხათუნა ლომიძემ („ზენიტი"), რომელიც 73 ქულით საპატიო თასს დაეუფლა, მეორე ადგილზეა დინამოელი მარინე ხუციშვილი (71,4 ქულა), მესამეზე — ზენიტელი თამრიკო მაჭავარიანი (71,25). მეოთხე ადგილზე გასულმა ბათუმელმა ნატო ბერძენიშვილმა („დინამო") პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

საშუალო ასაკობრივ ჯგუფში გოგონათა შორის ყველას აჯობა ნანა ძეგველაშვილმა („ზენიტი") — 71,25 ქულა. მეორე ადგილზე გასულმა ინგა ქელეხსაშვილმა (განათლების სამმართველო) 69,9 ქულა მოაგროვა, ლია ხუზაურაშვილი („ტრუდი") 69,7 ქულით მესამე ადგილზეა.

მესამე ასაკობრივ ჯგუფში (1971 წელს დაბადებულნი) პირველობა არავის დაუთმო განათლების სამმართველოს ტანმოვარჯიშემ ნინო ქართველიშვილმა, რომელმაც „იმედის თასი" დაისაკუთრა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ლ. ქოჩიშვილმა და ლ. ხიმიჩიდიმ (ორივე — „დინამო").

ვაჟების მრავალჭიდში უძლიერესი იყო ვლადიმერ გოგოლაძე („ლოკომოტივი"). მან ყველა სახეობაში მაღალი შეფასება მიიღო (ჯამში — 113 ქულა) და მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა. „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელმა ა. ბერიანიძემ 109,75 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, მესამეზეა დინამოელი ა. ხაჩატურიანი — 109,5. კარგად იასპარეზა მეოთხე ადგილზე გასულმა არმიელმა ა. ლებედევმაც. მან სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 107,8 ქულა.

„იუნიორთა თასი" (1966-1969 წ. წ.) გ. ეპიტაშვილმა (განათლების სამინისტრო) მოიგო — 107 ქულა. მეორე ადგილზეა დინამოელი ე. ფუნთუშაშვილი — 105,95 ქულა, მესამეზე — გ. გოგაშვილი (განათლების სამმართველო) — 101,55.

„იმედის თასი" არავის დაუთმო მიხეილ ფილაურმა — 104,75 (განათლების სამმართველო). კონკურსგარეშე მონაწილეთა შორის გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელმა, ზუგდიდელმა კობა ნოდიამ.

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს ცალკეულ იარაღებზე გაიმართა ფინალური შეჯიბრება, გოგონებში ორი გამარჯვება მოიპოვა ხ. ლომიძემ (ორძელსა და თავისუფალ ვარჯიშში), მ. ხუციშვილმა გაიმარჯვა დვირზე ვარჯიშში, ხოლო ლ. ხუზაურაშვილმა — ხტომებში. ვაჟთა შორის ვ. გოგოლაძე უძლიერესი იყო ოთხ იარაღზე (ტაიჭზე, ძელზე, ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში). რგოლებზე ჩემპიონი გახდა არმიელი გ. სელიმაშვილი, ხოლო ორძელზე — ა. ხაჩატურიანი.

— მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად შეჯიბრებაში არ გამოდიოდნენ ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშეები, ასპარეზობამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **თ. ასათიანმა.** — მონაწილეთა უმრავლესობამ გვიჩვენა თანამედროვე კომბინაციები. გოგონათა შორის ქებას იმსახურებს ნინო ქართველიშვილი და ლია ხუზაურაშვილი, ვაჟებში — ძმები ფუნთუშაშვილები და ეპიტაშვილები. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ტანვარჯიშს მათი სახით კარგი ოსტატები ეზრდება. სასიხარულოა, რომ ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა შესანიშნავი ნაგებობა მიიღეს. აქ ერთნაირად სასიამოვნოა შეჯიბრებაც და ვარჯიშიც. ერთი სიტყვით, კარგი პერსპექტივისათვის ახლა შესაფერისი ბაზა გვაქვს. ერთი დეტალი: გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში აჯილდოვებდნენ სახელოვანი ქართველი ტანმოვარჯიშეები ალექსანდრე ჯორჯაძე, დოდო ციხითათრიშვილი, ციალა მაჭარაშვილი და სხვები, რაც უდავოდ მისასალმებელია.

ლ. ხეცურიანი.

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა 21 დეკემბერს გასული სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ქვეყნის 33 საუკეთესო მოთამაშეთა სია:

მასში შევიდნენ: **მეკარეები** — 1. რ. დასაევი, 2. ვ. იურკუსი, 3. ვიაჩ. ჩანოვი; **მარჯვენა დამცველები** — 1. ვ. სოჩნოვი, 2. ნ. ლარიონოვი, 3. ვ. შიშკინი; **მარჯვენა ცენტრალური დამცველები** —1. ა. ჩივაძე, 2. ს. ბოროვსკი, 3. ვ. ქუპიკოვი; **მარცხენა ცენტრალური დამცველები** — 1. ს. ბალტაჩა, 2. ვ. კასპარავიჩიუსი, 3. ს. ბაზულევი; **მარცხენა დამცველები** — 1. ა. დემიანენკო, 2. ი. კურნენინი, 3. ნ. ბულგაკოვი; **მარჯვენა ნახევარმცველები** — 1. ფ. ჩერენკოვი, 2. ს. გოცმანოვი, 3. გ. ლიტოვჩენკო; **ცენტრალური ნახევარმცველები** — 1. ს. ალეინიკოვი, 2. მ. სოკოლოვსკი, 3. ვიაჩ. მელნიკოვი: **მარცხენა ნახევარმცველები** — 1. ხ. ოჰანესიანი, 2. ვიქ. კუზნეცოვი, 3. ა. ზიგმანტოვიჩი; **მარჯვენა გარემარბები** — 1. ი. გურინოვიჩი, 2. ვ. გრაჩოვი, 3. ო. პროტასოვი; **ცენტრალური თავდამსხმელები** — 1. ი. გავრილოვი, 2. ა. ტარხანოვი, 3. ს. იაკუბაუსკასი; **მარცხენა გარემარბები** — 1. ს. როდიონოვი, 2. ო. ბლოხინი, 3. ო. ტარანი.

ბლოხინი საუკეთესოთა რიცხვში შევიდა მეთორმეტედ, მაგრამ პირველად — მეორე ნომრად.

დასაევი, დემიანენკო, ბალტაჩა, ჩივაძე და ოჰანესიანი ამ სიაში შევიდნენ მეხუთედ.

რეკორდსმენია სახელგანთქმული მეკარე ლევ იაშინი, რომელიც 33 საუკეთესოს სიაში 13-ჯერ შედიოდა.

(საქდესი).

შ. ჰიონესი: „საჭიროა მოთმინება"

წარსულში ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი უ. ჰიონესი ამჟამად მიუნხენის „ბაიერნის" მენაჯერია. გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში მან 35 მატჩი ჩაატარა, 1974 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სპეციალისტთა საერთო აზრით დღევანდელი ბუნდესლიგა ის აღარ არის, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. აქაური კლუბები ერთობ ულიმღამოდ გამოდიან ევროპის საკლუბო ტურნირებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ინტერვიუს უ. ჰიონესთან, რომელიც დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შპიგელში" დაიბეჭდა.

კითხვა: არის თუ არა დღევანდელი ბუნდესლიგა თავის სიმაღლეზე?

პასუხი: სამწუხაროდ, საგრძნობლად დავთმეთ პოზიციები ევროპაში. ნაკრების წარუმატებლობა შემთხვევითობა არ არის, ვერც ცალკეული კლუბები თამაშობენ რიგიანად. ასე ცუდად საქმე ევროპის საკლუბო ტურნირებზე არასოდეს გვქონია.

კითხვა: ამგვარი მდგომარეობა უკანასკნელად 1960 წელს იყო. რით აიხსნება ახლანდელი რეგრესი?

პასუხი: ვფიქრობ, იმით, რომ აღარა გვყავს ვარსკვლავები, იმ კლასის ფეხბურთელები, რომლებიც ოდესღაც ბრწყინავდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ახლა მათ რიცხვს ბრაიტნერიც მიემატა.

კითხვა: ეხება თუ არა ეს რუმენიგეს?

პასუხი: მარტო რუმენიგეთი შორს ვერ წავალთ.

კითხვა: 19 წლის ასაკში თქვენ „ბაიერნში" გამოდიოდით, 20 წლისა კი უკვე ნაკრებში თამაშობდით. როგორ მიგაჩნიათ, ფეხბურთელთა მომზადება თქვენს დროს უფრო სხვანაირად მიმდინარეობდა?

პასუხი: ჩემს დროს გაცილებით უკეთესი პირობები გვქონდა, ახლა ჩვენი ფეხბურთელები უცხოეთში ამჯობინებენ თამაშს.

კითხვა: იქნებ გაქვთ რაიმე საშუალება ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის?

პასუხი: ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი: ძნელია შექმნა ვარსკვლავი არაფრისგან, მოთმინებაა საჭირო.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბუნდესლიგის ასეთ რეგრესში უპირველესად თვით ფეხბურთელები არიან დამნაშავენი?

პასუხი: აბა სხვას ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი? ბუნდესლიგა უპირველესად ფეხბურთელებია. ბევრს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ჩვენმა კლუბებმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ. ეს არ არის სწორი. ფეხბურთისადმი ამგვარი მიდგომა ყოყოჩობას იწვევს, რაც შემდეგ უარყოფითად მოქმედებს შედეგზე. დღევანდელი ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება, ჩვენ ახალი ოსტატები გვჭირდება.

პუბლიკაცია მოამზადა
მ. რადიანმა.

ევროპის ფეხბურთის ამბები

სუპერთასი— „აბერდინს"

გამოვლინდა 1983 წლის ევროპის სუპერთასის მფლობელი ფეხბურთში. შოტლანდიის „აბერდინმა", რომელიც თასების თასს ფლობს, პირველი მატჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფრედ დაამთავრა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ „ჰამბურგთან" — 0:0, საპასუხო შეხვედრა კი შინ მოიგო ანგარიშით 2:0 (პირველი ტაიმი — 0:0). ბურთები გაიტანეს სიმპსონმა და მაკგიმ, ხოლო მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს შოტლანდიელი ვეირი, რომელიც თავისი გუნდის შეტევათა ორგანიზატორი იყო.

შოტლანდიის საფეხბურთო კლუბმა პირველად მოიპოვა ევროპის სუპერთასი, ხოლო რაც შეეხება „ჰამბურგს", ეს ცნობილი კლუბი წლეულს გამოეთიშა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირს, შემდეგ მარცხი იწვნია საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლაში ბრაზილიის „გრემიოსთან" და ახლა ევროპის სუპერთასიც დათმო.

მოკლედ

ბრაზილიაში დასასრულს მიუახლოვდა შტატების საფეხბურთო გათამაშებანი. სან-პაულუს შტატში ჩემპიონის წოდება მოიპოვა „კორინტიანსმა", რომლის კაპიტანია ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი სოკრატესი. „კორინტიანსი" ფინალში შეხვდა „სან-პაულუს".

„სან-პაულუს" ჩემპიონობის მოსაპოვებლად ესაჭიროებოდა მხოლოდ გამარჯვება (გუნდის შემადგენლობაში გამოდიან ნაკრების წევრები კარეკა და რენატო), მაგრამ პირველი ბურთი გაიტანა სოკრატესმა, ხოლო „სან-პაულუმ" მხოლოდ ფრეს მიაღწია — 1:1.

• • •

რიო-დე-ჟანეიროს შტატში პირველი ადგილი დაიკავა „ფლუმინენსემ", ხოლო მეორე — „ფლამენგომ".

სულ მალე თბილისის სპორტის სასახლის ტატამი კვლავ უმასპინძლებს ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. ეს შერკინებები ნაზ არსებათა ყურადღებასაც იპყრობს.

ფოტოჟურნალისტთა „სამაია" საინტერესო კადრის მოლოდინში გარინდულა.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

პროგნოზის საწინააღმდეგოდ

სპორტში ყოველგვარი პროგნოზი, რაგინდ ზედმიწევნითი სიზუსტითა და მათემატიკური გაანგარიშებით იყოს ნავარაუდევი, მაინც რომ სარისკო გახლავთ, ამის მაგალითად სულ ახლახანს მოთხილამურე-ორჭიდელთა სარაევოს მომავალ სტარტებზე გამოთქმული ვარაუდიც კმარა. კერძოდ, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის უ. ველინგის (გდრ) მემკვიდრე უ. დოტცაუერმა (იგი სპეციალისტების აზრით ოლიმპიური „ოქროს" ყველაზე რეალური პრეტენდენტია) კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სარაევოს 70-მეტრიან ტრამპლინსა და 15-კილომეტრიან რბოლის ტრასაზე პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად სსრ კავშირის, ნორვეგიის, ფინეთისა და ავსტრიის სპორტსმენებთან მექნება, ამერიკელი კ. ლინჩი, სერიოზულ მეტოქედ არ მიმაჩნია, რადგან იგი თუმცა შესანიშნავად ხტება ტრამპლინიდან, მაგრამ რბოლაში საგრძნობლად ჩამორჩება. ისე რომ, იუგოსლავიაში პირველობის პრეტენდენტებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევსო.

მაგრამ ამ დღეებში, ავსტრიის ქალაქ ზეფელდში გამართულ ორჭიდელთა მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე სწორედ კ. ლინჩმა განაცდევინა უ. დოტცაუერს უსიამო წუთები. აი, როგორ მოხდა ეს: ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ წინ ავსტრიელი კ. ზულცენბახერი იყო, დოტცაუერს მე-10, ხოლო ლინჩს მე-17 ადგილები ეკავათ... პროგნოზის საწინააღმდეგოდ ამერიკელმა რბოლის ტრასაზე 15 წამით გაუსწრო გდრ-ის წარმომადგენელს და ორჭიდში ერთ-ერთი ლიდერიც გახდა. ახლა უ. დოტცაუერსა და კ. ლინჩს 421,30-421,30 ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა გ. შმიდერი (გდრ) — 412,17, მეოთხეზე—ფინელი ი. კარიალაინენი—412,06.

29-30 დეკემბერს ორჭიდელები მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე გდრ-ის ქალაქ ობერვიზონტალში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ო. ნ. კინწურაშვილი



გარდაიცვალა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ოთარ ნიკოლოზის ძე კინწურაშვილი.

დაიბადა 1925 წელს, ქ. ფოთში. აქ სწავლობდა, ბავშვობიდან აქვე ეზიარა ფეხბურთს.

1942 წლის სექტემბრიდან სამამულო ომის დამთავრებამდე იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს. მისი მხედრული სიმამაცე სათანადოდ აღნიშნულია ორდენებით და მედლებით, საბჭოთა კავშირის მთავარსარდლის მადლობით. შემდგომში ო. კინწურაშვილი წლების მანძილზე თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში.

1970 წლიდან გარდაცვალებამდე ო. კინწურაშვილი მწვრთნელმასწავლებლად მუშაობდა თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლაში. მთელ თავის უნარს და მდიდარ გამოცდილებას ახმარდა ნიჭიერ მოზარდ ფეხბურთელთა აღზრდასა და დაოსტატებას, მათს დაწინაურებას რესპუბლიკის საუკეთესო გუნდებში.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, შესანიშნავი ამხანაგი და კარგი პედაგოგი ოთარ კინწურაშვილი. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლების, ამხანაგებისა და აღზრდილთა გულში.

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები, თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

„სპორტლოტო" „სპორტლოტო"

СПОРТЛОТО

თქვენთან ერთად სპორტიც იგებს!



„სპორტლოტოს" კეთილშობილური მიზანია: ხელი შეუწყოს საბჭოთა სპორტის განვითარებას

ძვირფასო მეგობრებო!

მთავრდება სპორტული ლატარიების — „სპორტლოტო-83"-ის მოყვარულთა კონკურსი, რომელშიც თამაშდება სხვადასხვა მოდელის ავტომანქანა „ჟიგული".

კონკურსის პირობების თანახმად, „6 49" ლატარიაში 6 სახეობის, ხოლო „5 36"-ში 5 სახეობის გამომცნობი, მოგებული თანხის გარდა ნაღდ ანგარიშზე ურიგოდ მიიღებს ავტომანქანა „ჟიგულის" შესაძენ ტალონს.

კონკურსში მონაწილეობენ მხოლოდ საქართველოში შეძენილი ბილეთები, რომელთა შევსებული „ბვ" ნაწილები ჩაშვებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე „სპორტლოტოს" ყუთებში.

გათამაშებული ტირაჟების შედეგების მიხედვით „სპორტლოტოს" ბევრი მოყვარული უკვე გახდა მანქანის მფლობელი. კონკურსში გამარჯვებულთა შორის არიან თბილისის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი თამაზ დიასამიძე, თბილისის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საწარმოო კომბინატის მექანიკოსი ივანე კახეთელიძე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვასილ ბაქრაძე, თბილისის № 63 პროფტექნიკური სასწავლებლის ოსტატი ისაკ ჩიჩელაშვილი, აგრონომი გუდაუთიდან დემურ ჯლარკავა, აფთიაქის გამგე ჭიათურიდან იროდი კუპატაძე, თბილისის № 49 ფოტოატელიეს ბრიგადირი მამია ოქრიაშვილი, პენსიონერი ქუთაისიდან ნიკოლოზ ფურცხვანიძე, თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების" მუშა ალიოშა კიწმარაშვილი, რუსთავის მაცხოვრებელი ნანული მახარობლიშვილი, ქ. ჭიათურის № 255 სპორტმაღაზიის დირექტორი იური კაპანაძე.

მანქანების შესაძენი ტალონი კონკურსის გამარჯვებულებს შეუძლიათ მიიღონ წლეულს არა უგვიანეს 29 დეკემბრისა (ჩათვლით) საქსპორტლოტოს სამმართველოში (ელიავას ქუჩა, 26).

მითითებული ვადის შემდეგ ამ საკითხზე პრეტენზიები არ მიიღება.

მოთამაშეთა საყურადღებოდ

მოთამაშეთა მიზნით ყოველ ტირაჟში ათასობით ბილეთი ნაწილობრივ (ერთ ვარიანტში), ან მთლიანად უვარგისი ხდება ლატარიაში მონაწილეობისთვის. რა უნდა იცოდეს მოთამაშემ?

ტირაჟში ბილეთი მონაწილეობს ორი ვარიანტით, რომელთაგან თითოეულმა შეიძლება მოიგოს.

მორიგ ტირაჟში მონაწილეობისთვის აუცილებელია: გადახაზოთ ნიშნით X (ფანქრით აკრძალულია) ბილეთის „ა", „ბ" და „ვ" ნაწილებში ექვსი ციფრი პირველ ვარიანტში და ექვსი ციფრი მეორე ვარიანტში „6-49"-დან და ხუთი ციფრი თითოეულ ვარიანტში ლატარია „5-36"-დან.

მხურველებს შეუძლიათ ბილეთის ორივე ვარიანტი შეავსონ ერთნაირად. თითოეულ ვარიანტში „ა", „ბ" და „ვ" ნაწილების გადახაზული ციფრები ერთნაირი უნდა იყოს.

ბილეთი უნდა გადაიჭრას მითითებულ ხაზზე. „ა" ნაწილი დარჩება მოთამაშეს მოგების მისაღებად, ხოლო გაუყოფელი „ბვ" ნაწილები აუცილებელია ჩაუშვათ „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთელ ყუთში არა უგვიანეს მასზე აღნიშნული დროისა.

„ბვ" ნაწილების ამოღების დღე და საათი და მათი გაგზავნა წინასატირაჟო დამუშავებისთვის ყოველი ქალაქისა და დასახლებული პუნქტისთვის ინდივიდუალურია.

ბილეთები, რომელთა „ბვ" ნაწილებში არ არის მითითებული, გადასწორებულია ან გაურკვეველია ტირაჟის ნომერი, აგრეთვე ტირაჟში დაგვიანებული ბილეთები მონაწილეობას მიიღებენ იმ კვარტლის ბოლო ტირაჟში, როცა ისინი შემოვა სპორტული ლატარიების სამმართველოში.

ბილეთი იგებს მაშინ, თუ ტირაჟის შედეგებს დაემთხვა 3, 4, 5 ან 6 გადახაზული ციფრი პირველ, მეორე ან ორივე ვარიანტში ცალ-ცალკე. მოგებათა განაღდება იწყება ტირაჟის მე-11 დღეს და გრძელდება ერთი თვის განმავლობაში.

3 ან 4 გამოცნობილ ციფრზე მოგება შეიძლება მიიღოთ რესპუბლიკის ცენტრალურ ან I თანრიგის შემნახველ სალაროებში. მოგებული თანხის მისაღებად აუცილებელია წარადგინოთ მოგებული ბილეთის „ა" ნაწილი.

თუ მოგებული თანხა 100 და მეტი მანეთია, აუცილებელია პასპორტის წარდგენა.

5 ან 6 ციფრზე მოგება უნდა გაფორმდეს თბილისში, სპორტული ლატარიების რესპუბლიკურ სამმართველოში. მოგებული თანხის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ ბილეთის „ა" ნაწილი და პასპორტი.

თამაშების წესებს დაწვრილებით გაეცნობით ბილეთის მეორე მხარეს. თამაშის ეს წესები უბრალო და გასაგებია ყველასთვის, საჭიროა მხოლოდ ყურადღება. ყველა საინტერესო და გაურკვეველ საკითხზე შეგიძლიათ მოგვმართოთ სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, მისამართით: 380019, ქ. თბილისი, ელიავას ქ. № 26.

ზუსტად დაიცავით თამაშის წესები.


6 из 49
1 ВАРИАНТ
2 ВАРИАНТ
5 из 36
1 ВАРИАНТ
2 ВАРИАНТ
СА
0000000
А
Б
В
СПОРТЛОТО — ФИЗКУЛЬТУРНОМУ ДВИЖЕНИЮ!
ОБРАЗЕЦ

„სპრინტი"...

მთავრდება ფულისა და ნივთების ლატარია „სპრინტის" მორიგი სერიის ბილეთების რეალიზაცია.

„სპრინტი" — სწრაფი გათამაშების ლატარიაა, „სპრინტი" ხომ სისწრაფეს ნიშნავს!

„სპრინტი" გამოდის სერიებად, 2 მილიონი ბილეთის რაოდენობით. ყველა ბილეთი დაბეჭდილია კონვერტებად და დალუქულია.

მოგებული ნივთების დასახელება ან ფულადი მოგების რაოდენობა აღნიშნულია ბილეთზე.

ბილეთის გახსნისთანავე შეიძლება შედეგის გაგება.

ლატარია „სპრინტის" ბილეთები გამოდის ორი სახის — 50 კაპიკიანი და სპეციალური გამოშვება, რომლის ღირებულებაა 1 მანეთი.

„ჟჟ" სერიის სპეციალურ გამოშვებაში, თამაშდება 400420 ფულადი მოგებები 1 მანეთიდან 10 ათას მანეთამდე და 20 მსუბუქი ავტომანქანა, მათ შორის ორი ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24.

25 მანეთამდე ჩათვლით მოგებები ანაზღაურდება ადგილზე, ბილეთების გამავრცელებლებთან. აქვე, რეალიზაციის პუნქტებში შეიძლება წინა „ეჩ" და „ლფ" ბილეთები წარწერით „სპრინტის ლატარიის ბილეთი" ახალ „ჟჟ" სერიაზე გადაცვლა.

შეგახსენებთ, რომ „სპრინტის" „ეჩ" და „ლფ" სერიების მოგებათა განაღდება შეწყდება 1983 წლის 30 დეკემბერს.

ამ სერიის ბილეთებით 25 მანეთამდე მოგებული თანხის მიღება შეიძლება „საქსპორტლოტოს" სამმართველოსთან არსებულ № 3529/0255 შემნახველ სალაროში (ელიავას, 26, ტელ: 34-50-29) 1983 წლის 30 დეკემბრის 12 საათამდე.

მითითებული ვადის შემდეგ ლატარია „სპრინტის" „ეჩ" და „ლფ" სერიების ბილეთებზე პრეტენზიები არ მიიღება.

ყველა დიდ მოგებას ანაზღაურებენ ცენტრალური შემნახველი სალაროები: გიწვევთ რა „სპრინტში" მონაწილეობისთვის, გთხოვთ ბილეთების რეალიზაციის ადგილებში დაიცვათ სისუფთავე და წესრიგი: წაგებული ბილეთები ჩააგდეთ სპეციალურად გამოყოფილ ყუთებში.

მონაწილეობა მიიღეთ ფულისა და ნივთების ლატარია „სპრინტში".

გისურვებთ წარმატებას!

შეგახსენებთ!

ტირაჟში მონაწილეობისთვის არ დაიშვება:

— ფანქრით შევსებული ბილეთი;

— ბილეთი, რომლის „ბვ" ნაწილებში გადაშლილი და გადასწორებულია ნომრები;

— ბილეთი, რომელშიც გადახაზულია შესაბამისი ლატარიით გათვალისწინებულ ნომერზე მეტი ან ნაკლები;

— თუ დაზიანებულია ბილეთის „ბვ" ნაწილის სათამაშო არე და ბილეთის ნომერი;

— ბილეთი „ბ" ან „ვ" ნაწილებში შეუვსებელი ვარიანტით.

— შემოსულ პრეტენზიებზე პასუხის ოპერატიული გაცემისთვის პრეტენზიების წარდგენისას ან გამოგზავნისას აუცილებლად უნდა აღნიშნოთ ბილეთის „ბ" და „ვ" ნაწილების ჩაშვების ზუსტი ადგილი და „სპორტლოტოს" ყუთის ნომერი.

— გახსოვდეთ, რომ ამ მონაცემების გარეშე პრეტენზიები მოგების თაობაზე არ განიხილება.

— ზუსტად დაიცავით თამაშის წესები!

1984 წლის ტირაჟები

1 ტირაჟი — 7 იანვარს
2 ტირაჟი — 14 იანვარს
3 ტირაჟი — 21 იანვარს
4 ტირაჟი — 28 იანვარს
5 ტირაჟი — 4 თებერვალს
6 ტირაჟი — 11 თებერვალს
7 ტირაჟი — 18 თებერვალს
8 ტირაჟი — 25 თებერვალს
9 ტირაჟი — 3 მარტს
10 ტირაჟი — 10 მარტს
11 ტირაჟი — 17 მარტს
12 ტირაჟი — 24 მარტს
13 ტირაჟი — 31 მარტს
14 ტირაჟი — 7 აპრილს
15 ტირაჟი — 14 აპრილს
16 ტირაჟი — 21 აპრილს
17 ტირაჟი — 28 აპრილს
18 ტირაჟი — 5 მაისს
19 ტირაჟი — 12 მაისს
20 ტირაჟი — 19 მაისს
21 ტირაჟი — 26 მაისს
22 ტირაჟი — 2 ივნისს
23 ტირაჟი — 9 ივნისს
24 ტირაჟი — 16 ივნისს
25 ტირაჟი — 23 ივნისს
26 ტირაჟი — 30 ივნისს
27 ტირაჟი — 7 ივლისს
28 ტირაჟი — 14 ივლისს
29 ტირაჟი — 21 ივლისს
30 ტირაჟი — 28 ივლისს
31 ტირაჟი — 4 აგვისტოს
32 ტირაჟი — 11 აგვისტოს
33 ტირაჟი — 18 აგვისტოს
34 ტირაჟი — 25 აგვისტოს
35 ტირაჟი — 1 სექტემბერს
36 ტირაჟი — 8 სექტემბერს
37 ტირაჟი — 15 სექტემბერს
38 ტირაჟი — 22 სექტემბერს
39 ტირაჟი — 29 სექტემბერს
40 ტირაჟი — 6 ოქტომბერს
41 ტირაჟი — 13 ოქტომბერს
42 ტირაჟი — 20 ოქტომბერს
43 ტირაჟი — 27 ოქტომბერს
44 ტირაჟი — 3 ნოემბერს
45 ტირაჟი — 10 ნოემბერს
46 ტირაჟი — 17 ნოემბერს
47 ტირაჟი — 24 ნოემბერს
48 ტირაჟი — 1 დეკემბერს
49 ტირაჟი — 8 დეკემბერს
50 ტირაჟი — 15 დეკემბერს
51 ტირაჟი — 22 დეკემბერს
52 ტირაჟი — 29 დეკემბერს

ტირაჟები გაიმართება შაბათობით

დიდ მოგებას

გისურვებთ

ახალ,

1984 წელს!

„სპორტლოტო"

ეს არის ახალი სტადიონები, აუზები, მოედნები, სპორტული კომპლექსები!



მზად ვართ გემსახუროთ!

ცნობებისთვის მოგვმართეთ: 380019, თბილისი — 19, ელიავას 26, ტელეფონები — 34-38-00; 34-53-42.

სპორტული ლატარიების რესპუბლიკური სამმართველო.

„სპორტლოტო" „სპორტლოტო"

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სა-
გაზეთო კორპუსში, [illegible]. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე — 07999